სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 მაისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-10/53

ბსუ-ს **საინფორმაციო ტექნოლოგიების** სამსახურში **სტაჟიორთა შერჩევის** მიზნით **საკონკურსო კომისიის** დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის", „ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აპრილის N01-10/37 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 24 აპრილის N01-10/42 ბრძანებით), ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2024 წლის 01 მაისის MES 0 24 0000485840 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აპრილის N01-10/37 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ზვიად ბერაძე** - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) **ბესიკ თურმანიძე** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) **ნიკა დავითაძე** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) **გელა ჩოგაძე** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
ე) **მიხეილ დონაძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი;
ვ) **ამირან შარაძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეთა ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტსა და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ამოქმედეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**